## არა აქვთ ზღვა

და არის ქვეყნები სხვა,
რომელთაც არა აქვთ ზღვა.
ანუ არც მდინარე.

აქ კი ცაღ ასულა ფრთა,
უშორეს ტალღებას მთა
თეთრი და მყინვარე.

ზღვა ჩვენი მრისხანე ომს
შეხვდა, ვით შეჰფერის ლომს,
არსმენილ განგაშით.

გრგვინვასა და ქუხილს სტეხს –
შეაწყდა გრიგალი მეხს
გემების კანკალში.

ჰკვეთავდა უნდოს და ნავსს
კრეისერს. წყალქვეშა ნავს,
მოქნეულ დაშნითა.

დალეწა ნაღმები მტრის,
და მაშინ დამშგიდდა ის...
ო, როგორ დამშვიდდა!

იგრძნობ ზღვად გასულთა ხმას,
სად იალქანი დგას
ალპიურ კარავის.

რას იტყვი? რა უნდა თქვა?
ვისა აქვს ჩვენსავით ზღვა?
არავის, არავის!

1947